ისტორიული ფრაზები

ცნობილი გამონათქვამები დემოკრატიის შესახებ

აბრაამ ლინკოლნი (1809-1865)

ამერიკელი პოლიტიკოსი, 1861 წლიდან პრეზიდენტი

ყველაზე საუკეთესო ადამიანიც კი არასაკმარისად კარგია იმისათვის, რომ მართოს სხვა ადამიანი მისი თანხმობის გარეშე.

პეორიაში (ილინოისი) წარმოთქმული სიტყვა, 1854 წლის 16 ოქტომბერს.

ხალხის მმართველობა, ხალხის მეშვეობით და ხალხისათვის არგაქრება დედამიწაზე.

1863 წლის 19 ნოემბერს წარმოთქმული სიტყვიდან რომელიც მიეძღვნა გეტისბერგში სამოქალაქო ომის მსხვერპლთა სასაფლაოს კურთხევას ("გეტისბერგის სიტყვა").

ეს დებულება შევიდა "ამერიკელის კრედოში", რომელიც 1918 წლის 3 აპრილს მიიღო კონგრესმა.

მსგავსი სახის ფორმულები სათავეს იღებს XIV საუკუნიდან და გვხვდება მომდევნო პერიოდშიც. XVIII-XIX საუკუნეების დროინდელი ზოგიერთი ციტატა: „შეურაცხყოფაა იმის მტკიცება, თითქოს ჩვენი ხალხი მტრულადაა განწყობილი მთავრობისადმი, რომელიც მის მიერ-ვეა შექმნილი, მისთვისაა შექმნილი და მის წინაშეა ანგარიშვალდებუ-ლი" (აშშ-ის პრეზიდენტის ჯონ ადამს-უფროსის სიტყვა ვირჯინიის შტატში, 1798 წ.); „ხელისუფლება ... ხალხიდან და ხალხისთვის" (ბ. დიზრაელი რომანში „ვივიან გრეი", 1826 წელი); „ხალხის მთავრობა, შექმნილი ხალხისთვის, ხალხის მიერ და პასუხისმგებელი ხალხის წი-ნაშე" (დენიელ უებსტერის სიტყვა აშშ-ის სენატში 1830 წლის 26 იან-ვარს). „ამერიკული იდეა ... გულისხმობს ... დემოკრატიას, ესე იგი მარ-თვას მთელი ხალხის მიერ, მთელი ხალხის სახელით, მთელი ხალხი-სათვის" (თეოდორ პარკერის სიტყვა ბოსტონში 1850 წლის 29 მაისს ახ-ალ ინგლისში მონობის მოწინააღმდეგეთა ყრილობაზე).

ლოზუნგი: "ყველაფერი - ხალხისთვის, ყველაფერი - ხალხის მეშვეობით" - შესულია პოლონეთის დემოკრატიული საზოგადოების მანიფესტში, რომელიც დათარიღებულია 1836 წლის 4 დეკემბრით.

შეადარე ასევე: "ყველაფერი ხალხისთვის და ხალხის სახელით; არაფერი ხალხის მეშვეობით და მისი ქარაფშუტული დიქტატით" - პიერ ჟან კაბანისის (1757-1808) გამონათქვამი საფრანგეთის 1799 წლის კონსტიტუციაზე.

რ. ნიბური

გერმანელი ისტორიკოსი

დემოკრატიას შესაძლებელს ხდის ადამიანთა უნარი დაადგინონ კანონები, ხოლო ადამიანური ცდუნება გვერდი აუარონ კანონებს, დემოკრატიას აუცილებელს ხდის.

ალფრედ სმიტი (1873-1944)

1919-1920 და 1922-1928 წლებში ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი

დემოკრატიის ყველა ავადმყოფობის წამალი კიდევ უფრო მეტი დემოკრატიაა.

სიტყვა ოლბანში (ნიუ-იორკის შტატი) 1933 წლის 27 ივნისს.

უინსტონ ჩერჩილი (1874-1965)

ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსი

დემოკრატია - მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუკი გამოვრიცხავთ ყველა დანარჩენს, რომელთაც დროდადრო მოსინჯავდნენ ხოლმე.

სიტყვა თემთა პალატაში 1947 წლის 11 ნოემბერს.

ჩვეულებრივ ციტირებას ახდენენ შემდეგნაირად: "... მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმა, თუ არ ჩავთვლით ყველა დანარჩენს".

ავტორთა საყურადღებოდ

მოთხოვნები ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიისადმი

ჟურნალი გამოსაქვეყნებლად მიიღებს 3000 სიტყვამდე მოცულობის ტექსტს. ჟურნალში წარმოდგენილი სტატია გაივლის რეცენზირებას. სტატია უნდა იყოს ორიგინალური კვლევის შედეგი, დაუშვებელია კომპილაცია და ავტორის კვლევასა და შეხედულებებს მოკლებული ტექსტები. რედაქციაში შემოსული სტატია არ უნდა იყოს სხვა ჟურნალში გამოქვეყნებული ან დასაბეჭდად წარდგენილი. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, სტატია ავტომატურად იხსნება განხილვიდან და ავტორის მიერ წარმოდგენილი ტექსტები შემდგომშიც აღარ მიიღება.

გაფორმება

სტატია მომზადებული უნდა იყოს ქართულ ენაზე და გაფორმებული ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) ციტირების სტილით. ნაშრომს უნდა ახლდეს აბსტრაქტი (150-200 სიტყვის მოცულობით), როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ტექსტს უნდა ერთვოდეს ნაშრომის თემატიკის ამსახველი ოთხი ან ხუთი საკვანძო სიტყვა. ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (.doc გაფართოებით). ფაილის სახელწოდება უნდა იყოს ავტორის გვარი, ტექსტი იკრიფება Sylfaen გარნიტურის გამოყენებით (ინგლისური ტექსტის ნაწილში კი Times New Roman-ში),

სტრუქტურა

ნაშრომის პირველ გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს სტატიის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სტატუსი, საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ნაშრომის გამოგზავნის თარიღი.

სტატიას წინ უნდა უძღვოდეს აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 150-200 სიტყვას. იგი უნდა ასახავდეს კვლევის მიზანს, შედეგებსა და დასკვნებს. აბსტრაქტს უნდა ერთვოდეს ოთხი ან ხუთი საკვანძო სიტყვა, რომელიც ეხება საკვლევ თემას. დაუშვებელია საკვანძო სიტყვებად აბრევიატურის გამოყენება. სტატიის შესავალი უნდა აჯამებდეს საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებულ კვლევებს და აღწერდეს საკვლევ პრობლემას.

ლიტერატურის მიმოხილვას არ უნდა ჰქონდეს აღწერითი ხასიათი და კრიტიკულად უნდა აანალიზებდეს შესაბამის ლიტერატურეს. სტატიაში ავტორმა უნდა ისაუბროს მის მიერ შერჩეული კვლევის მეთოდის შესახებ.

ჟურნალში რეგისტრაცია და სტატიის ატვირთვა

ჟურნალ „პოლიტიკაში“ სტატიის ელექტრონულად ასათვირთად პირველ რიგში აუცილებელია მომხმარებელმა გაიაროს რეგისტრაცია ვებ-გვერდზე “Psage.tsu.ge”. ამისთვის საიტზე უნდა მონიშნოს ველი „Registration”, შემდგომ კი შეიყვანოს პირადი მონაცემები. რეგისტრაციის დასასრულს, მომხმარებელს ეძლევა არჩევანი, თუ როგორ დაარეგისტრიროს პროფილი. არსებობს სამი განსხვავებული ალტერნატივა, დარეგისტრირდეს როგორც:

1-მკითხველი - გამოცემული ყოველი ახალი ნომერი ავტომატურად მიდის მითითებულ ფოსტაზე.

2- ავტორი - შექმნილი პროფილით შეიძლებოდეს სარეცენზიოთ სტატიების გადაგზავნა, რომლის წარმატებით გავლის შემდგომ ის დაიბეჭდება ჟურნლაში.

3-მიმომხილველი - ამ შემთხვევაში იგი გამოთქვამს სურვილს და მზაობას, რომ იყოს რეცენზენტი ელექტრონულად ატვირთული სტატიების, იმ შემთხვევაში თუ რედაქტორი გადაწყვეტს ამას.

რეგისტრაციის შემდგომ, გადადიხართ პირად პროფილზე, სადაც მონიშნავთ ველს: „New Submission” და იწყებთ სტატიის ატვირთვის პროცეს.

• ეტაპი პირველი: JOURNAL SECTION- ში უთითებთ, რომ თქვენ მიერ ატვირთული ფაილი არის სტატია და არა სხვა ტიპის დოკუმენტი. ქვემოთ კი შეგხვდებათ წარწერა : „SUBMISSION CHECKLIST“ და ჩამონათვალი იმ კრიტერიუმებისა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თქვენი დოკუმენტი. გაეცანით კრიტერიუემებს და იმ შემთხვევაში თუ სტატია აკმაყოფილებს მათ, მონიშნეთ თითოეული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაასწორედ და ისე გააგრძელეთ პროცესი. ამ ეტაპის დამთავრებისთვის გვერდის ბოლოს მიუთითეთ “Save and Continue”.

• მეორე ეტაპზე უკვე ტვირთავთ სტატიის ფაილს Word დოკუმენტის სახით და კვლავ მიუთითეთ “Save and Continue“.

• მესამე ეტაპი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველ ნაწილში ავსებთ პირად მონაცემებს ავტორის შესახებ, მეორე ნაწილში კი შესაბამის ველებში ცალ-ცალკე წერთ სტატიის დასახელებას და ავტორის სახელს და გვარს. ასევე აკოპირებთ და შესაბამის ველში ათავსებთ ინგლისურენოვან აბსტრაქტს და წესების დაცვით გაფორმებულ ბიბლიოგრაფიას. ყურადღება უნდა გაამახვილოთ ფანჯარაზე: INDEXING და აქ მიუთითოთ „KA"- რაც გამომხატველია იმის, რომ თქვენი სტატია ქართულ ენაზე იქნება ატვირთული. ამ ნაბიჯების შემდგომ გადადიხართ შემდეგ საფეხურზე.

• მეოთხე ეტაპზე შეგიძლია ცალკე ფაილად ატვირთოთ დანართები, რაც სტატიას ახლავს.

• მეხუთე ეტაპზე კი ასრულებთ სტატიის რეგისტრაციის პროცესს და ადასტურებთ, რომ სწორია ყველა ის მონაცემი, რაც წინა ეტაპებზე შეიყვანეთ.

ამ პროცესის დასრულების შემდეგ, საქმეში ერთვება ჟურნალის რედაქტორი, რომელიც სტატიას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გაუგზავნის რეცენზენტებს შესაფასებლად. რეცენზენტს ეძლევა საშუალოდ 4 კვირა ნაშრომის შეფასებისთვის, შემდეგ კი წერს დასკვნას, რომელიც შეიძლება იყოს დადებითი, ან უარყოფითი, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობაა გასათვალისწინებელი. მაგალითად: 1- შესაძლოა რეცენზენტმა ჩათვალოს, რომ სტატია იმდენად გამართულია, რომ ის აღარ საჭიროებს ცვლილებებს და პირდაპირ გადაუგზავნოს რედაქტორს დასაბეჭდად. 2 - შეიძლება რეცენზენტმა მიიჩნიოს, რომ სტატია იმსახურებს დაბეჭდვას, თუმცა გარკვეული ცვლილებებით. ამ შემთხვევაში ნაშრომი შენიშვნებთან ერთად იგზავნება ავტორთან და მას ეძლევა გარკვეული დრო ცვლილებების გასაკეთებლად. 3- ნაშრომი უარყოფილია. ამ შემთხვევაში ნაშრომი არ დაიბეჭდება.

რეცენზირების გავლის შემდგომ, სტატია გადადის კორექტორთან, რომელიც ამოწმებს გრამატიკულ და ტექნიკურ ხარვეზებს.

ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, ავტორი კიდევ ერთხელ გაეცნობა სტატიის საბოლოო ვერსიას და მისი თანხმობით დაიბეჭდება ჟურნალში.